საგადასახადო - საბუღალტრო მომსახურების

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

_____ _____ 2024 **ქ. თბილისი**

შპს „_____“ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„დამკვეთი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, ერთის მხრივ, და ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____) (შემდეგში - **„შემსრულებელი“**), მეორეს მხრივ, **„დამკვეთი“** და **„შემსრულებელი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. **„დამკვეთი“** ავალებს, ხოლო **„შემსრულებელი“** კისრულობს გაუწიოს **„დამკვეთს“** საგადასახადო - საბუღალტრო მომსახურება (შემდეგში - **„მომსახურება“**);

1.2. **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებული **„მომსახურება“** მოიცავს:

1.2.1. **„დამკვეთის“** მიმდინარე **„საანგარიშო პერიოდების“** (კალენდარული თვეების) საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების მიხედვით;

1.2.2. **„დამკვეთის“** მიმდინარე **„საანგარიშო პერიოდების“** საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. **„მომსახურების“** გაწევა დაიწყოს **„ხელშეკრულების“** ხელმოწერის დღიდან;

2.1.2. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, **„დამკვეთთან“** დადებული **„ხელშეკრულების“** პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვროს **„მომსახურების“** განხორციელების ფორმები და მეთოდები;

2.1.3. საიდუმლოდ შეინახოს **„მომსახურების“** დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლობის შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი, ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

2.1.4. **„მომსახურების“** განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი სტანდარტები, დებულებები და ნორმატიული აქტები;

2.1.5. გასწიოს კვალიფიციური **„მომსახურება“**;

2.1.6. გაუწიოს **„დამკვეთს“** შესაბამისი კონსულტაცია საგადასახადო ვალდებულებების ოპტიმიზაციისა და საგადასახადო რისკების პრევენციის საკითხებში.

2.1.7. ყოველი საანგარიშო პერიოდის (კალენდარული თვის) მომდევნო თვის 15 რიცხვამდე მოახდინოს საანგარიშო თვის შემოწმების დასრულება და **„დამკვეთთან“** მიღება-ჩაბარების გაფორმება.

2.2. დამკვეთი ვალდებულია:

2.2.1. ყოველი საანგარიშო პერიოდის (კალენდარული თვის) მომდევნო თვის 5 რიცხვამდე სრულად მიაწოდოს **„შემსრულებელს“** საანგარიშო პერიოდის პირველადი-სააღრიცხვო დოკუმენტები, საბანკო ამონაწერები და სხვა დოკუმენტები **„შემსრულებლის“** მოთხოვნისამებრ;

2.2.2. **„შემსრულებლის“** მოთხოვნის შემთხვევაში, დროულად და დეტალურად მიაწოდოს **„შემსრულებელს“** ახსნა-განმარტება (წერილობითი და/ან ზეპირი) განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციასთან დაკავშირებით;

2.2.3. გადაუხადოს **„შემსრულებელს“ „ხელშეკრულებით“** გათვალისწინებული **„მომსახურების“** ღირებულება.

3. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი:

3.1. **„მომსახურების“** ღირებულება (საშემოსავლო გადასახადის და საპენსიო ანარიცხების ჩათვლით) შეადგენს _____ **ლარს,** ყოველი საანგარიშო (მიმდინარე) პერიოდისათვის (კალენდარული თვისათვის);

3.2. **„მომსახურების“** ღირებულების **„შემსრულებლისთვის“** გადახდის მომენტში, **„დამკვეთი“** გადასახდელ თანხაზე აკავებს საშემოსავლო გადასახადსა და საპენსიო ანარიცხს და **„შემსრულებლის“** სახელით რიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საპენსიო ფონდის შესაბამის საბანკო ანგარიშებზე;

3.3. **„მომსახურების“** ღირებულების გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, **„შემსრულებლის“** საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით საანგარიშო პერიოდის (კალენდარული თვის) შემდეგი თვის 5 რიცხვამდე.

4. ფორს-მაჟორი:

4.1. **„ხელშეკრულების“** პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც **„ხელშეკრულების“** პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას;

4.2. **„ხელშეკრულების“** მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს **„მხარეებისათვის“** გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული **„დამკვეთისა“** ან/და **„შემსრულებლის“** შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია

წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

4.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში **„ხელშეკრულების“** დამდებმა **„მხარემ“**, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე **„მხარეს“** ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი **„მხარე“** არ მიიღებს მეორე **„მხარისაგან“** წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5. დავის გადაჭრის წესი:

5.1. **„ხელშეკრულების“** მოქმედების პერიოდში **„მხარეებს“** შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით;

5.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს. **„მხარეებს“** უფლება აქვთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ დადონ დამატებითი შეთანხმება დავის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შესახებ, ამ შემთხვევაში დავას გადაწყვეტს შესაბამისი არბიტრაჟი.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა
და მოქმედების ვადები:

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის **„მხარეთა“** მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 202__ წლის _____ _____-მდე.

7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

7.1. **„ხელშეკრულებაში“** დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე **„მხარის“** სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

7.2. **„ხელშეკრულების“** რომელიმე მუხლის ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი კარგავს ძალას, და მოქმედებას აგრძელებს ძალა დაუკარგავი მუხლები და პუნქტები;

7.3. **„ხელშეკრულება“** შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა **„დამკვეთს“**, ხოლო მეორე – **„შემსრულებელს“**.

„დამკვეთი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)
_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„შემსრულებელი“: /_____ _____ (პ/ნ _____)/
_____